



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

01 აპრილი 2026



N 212/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს 35 კვ ძაბვისა და 5094 მეტრი სიგრძის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის – „თელოვანი“-ს გაყვანაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 3.4 ქვეპუნქტით (35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება) გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ელექტრომომარაგების ქსელის გაუმჯობესების მიზნით, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ გეგმავს 35 კვ ძაბვისა და 5094 მეტრი სიგრძის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის – „თელოვანი“-ს გაყვანას, რომელიც თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში გაივლის (საწყისი და ბოლო წერტილების GPS კოორდინატები: X-477616, Y-4629688; X-474171, Y-4628323).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ მუხათგვერდში არსებული საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის – „მცხეთის“ №16 საყრდენიდან დაიწყება და გრუნტიანი გზისა და მუხათგვერდის სასაფლაოს მიმდებარედ გაივლის. აღნიშნულის შემდგომ საპროექტო მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი გაუყვება მოსფალტებულ გზას, შემდეგ – ისევ გრუნტიან გზას და თბილისის მუნიციპალიტეტში, საბურთალოს რაიონში, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.104.006) გათვალისწინებულ 35/10 კვ ძაბვის საპროექტო ქვესადგურს დაუერთდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი, ზირითადად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გაივლის, რომლის სიახლოვეს საცხოვრებელი სახლები არ ფიქსირდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გასაყვანად მომზადდება ტრანშეა (ფსკერის სიგანე – 600 მმ; სიღრმე – 1100 მმ), სადაც ალუმინის 35 კვ ძაბვის ცალფაზა და სამფაზა კაბელები მოთავსდება. საპროექტო მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზი ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიას გაივლის, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. ექსკავირებული გრუნტი დროებით დასაწყობდება ტრანშეის მიმდებარედ და სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ უკუყრისათვის იქნება გამოყენებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე სამშენებლო ბანაკის, მისასვლელი გზებისა და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის, ხოლო მშენებლობისთვის საჭირო მასალა სამშენებლო მოედანზე, პერიოდულად, მზა სახით შევა. დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები დაახლოებით 4 თვის განმავლობაში გაგრძელდება და ესკავატორის, ბორტიანი მანქანის, პერფორატორის და ხელის პნევმატოსატკეპნის საშუალებით შესრულდება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების და ხმაურის სტაციონარული წყაროების გამოყენება გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო სამშენებლო სამუშაოებში ჩართული მანქანა-დანადგარები იქნება. დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, საპროექტო მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. ამასთან, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები მხოლოდ დღის საათებში შესრულდება და სამუშაოების განხორციელებისას სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობა და გადაადგილების სიჩქარე მუდმივად გაკონტროლდება.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია, რომლის თანხმად საპროექტო დერეფანი მდგრადია, მშენებლობისთვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება და საშიში გეოდინამიკური პროცესები არ შეინიშნება. კვლევის ეტაპზე გრუნტის წყლები არცერთ გამონამუშევარში არ გამოვლენილა.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია არასახიფათო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის სამშენებლო მოედანზე დაიდგმება სათანადო მარკირების მქონე დახურული კონტეინერები, ხოლო დაგროვილი ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას გადაეცემა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში განხორციელდება, სადაც ძირითადად წარმოდგენილი ცხოველთა სინანტროპული სახეობები. დაგეგმილი საქმიანობა ხე-მცენარეულობს ჭრას არ ითვალისწინებს.

ვინაიდან რიგ მონაკვეთებში საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე გაივლის, სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკრინინგის განცხადება სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს გაეგზავნა. საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp-ფაილით წარმოდგენილი ხაზობრივი ნაგებობის მთლიანი ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 897 მ<sup>2</sup> მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე (მცხეთის სატყეო უბნის დიდმის სატყეოს კვარტალი №9). სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე 897 მ<sup>2</sup>-დან, 545 მ<sup>2</sup> სრულად ზედდებათა სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 72.07.18.024; 72.07.18.022; 72.07.18.023; 72.12.04.842), ხოლო დარჩენილი 152 მ<sup>2</sup> ზედდებათა სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.12.04.844). ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთებიდან 72.07.18.024, 72.07.18.022, 72.07.18.023 და 72.12.04.842 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე საქმიანობისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2025 წლის 30 ოქტომბრის N3237/ს ბრძანებით სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს 1 წლის ვადით მიენიჭა განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის

უფლება, ხოლო ერთ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.12.04.844) საქმიანობისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული ტყითსარგებლობის უფლება არ ფიქსირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებას საჭიროებს.

სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები, თუმცა, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კორსპონდენციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების – თელოვანის წმინდა ნინოს ეკლესიისა და ზეგარდის წმინდა გიორგის ეკლესიის ვიზუალური დაცვის არეალებში. ვინაიდან აღნიშნულ მონაკვეთებში მიწის სამუშაოების დროს შესაძლებელია არქეოლოგიური ფენების გამოვლენა, სასურველია, რომ აღნიშნულ მონაკვეთებზე მიწის სამუშაოები არქეოლოგიის ზედამხედველობით წარიმართოს.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა საბურთალოს რაიონის გამგეობასა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიამში, საინფორმაციო დაფებზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის ადგილმდებარეობის, ტექნიკური გადაწყვეტის (მიწისქვეშა) და მახასიათებლების გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს 35 კვ ძაბვისა და 5094 მეტრი სიგრძის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის – „თელოვანი“-ს გაყვანა არ დაექვემდებაროს გზშ-ს.
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე საბურთალოს რაიონის გამგეობისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/212-21-4-202604012140>

